ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

წევრების:

ზვიად კუპრავას,

ლილე ლიპარტელიანის,

გიორგი ონიანის,

სოფიო ჯაფარიძის

გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა
და
ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის
ოქმი

ქ. თბილისი

31 ოქტომბერი 2022 წ.

მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, კახეთის გზატკეცილი #45ა არსებულ ოფისში გაიმართა ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრა, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრებმა **ზვიად კუპრავამ, ლილე ლიპარტელიანმა, გიორგი ონიანმა და სოფიო ჯაფარიძემ** ანგარიში ჩააბარეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებით გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნულმა წევრებმა ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლეს დასწრებოდნენ მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში ფრაქციის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრების მიერ ორგანიზებულ საჯარო შეხვედრას და ანგარიშის წარდგენას, შესაბამისად, მათ მიერ მოხდა საქართველოს ორგანული კანონის " ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მუხლი 88 შესაბამისად ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის გამართვისა და ანგარიშის ჩაბარების უზრუნველყოფა,

ამომრჩევლებმა, რომლებიც ესწრებოდნენ საკრებულოს წევრების ანგარიშის წარდგენას, ასევე დასვეს შეკითხვები და საკრებულოს წევრებისგან მიიღეს დასმულ კითხვებზე ინფორმაცია.

საჯარო შეხვედრაზე წარდგენილი ანგარიშის კონსოლიდირებული ვერსია თან ერთვის წინამდებარე ოქმს.

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი

ირაკლი ნადირაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''

წევრების:

ზვიად კუპრავას,

ლილე ლიპარტელიანის,

გიორგი ონიანის,

სოფიო ჯაფარიძის

კონსოლიდირებული

ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: **ზვიად კუპრავა, ლილე ლიპარტელიანი, გიორგი ონიანი და სოფიო ჯაფარიძე** გაერთიანებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქციაში ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''.

ფრაქციის წევრები პროპორციული, კანონმდებლობის შესაბამისად, წარმომადგენლობის ქვოტით წარმოდგენილნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგ კომისიებში:

1. სარევიზიო კომისია: **ზვიად კუპრავა, გიორგი ონიანი;**
2. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია: **სოფიო ჯაფარიძე, ლილე ლიპარტელიანი,** მამუკა გუგეშაშვილი;
3. განათლებისა და კულტურის კომისია: ნინო კვიტაიშვილი, **სოფიო ჯაფარიძე;**
4. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია: თორნიკე ბიკაშვილი, **გიორგი ონიანი;**
5. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია: **ლილე ლიპარტელიანი,** მამუკა გუგეშაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.

6. სატრანსპორტო საკითხთა კომისია: ანა გოგოლაძე, მიხეილ კაკაურიძე,**ზვიად კუპრავა;**
7. გარემოს დაცვის კომისია: ბარბარა ჯიმელი სულაშვილი, შოთა გრიგოლია, ირაკლი ეძგვერაძე;
8. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია: ირაკლი ნადირაძე, შოთა გრიგოლია;
9. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია: ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე.
10. ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთოერთობების კომისია: ბარბარა ჯიმელი სულაშვილი.
11. ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია: თორნიკე ბიკაშვილი, ანა გოგოლაძე, ირაკლი ნადირაძე;

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' ხელმძღვანელობა დაკომპლექტებულია შემდეგნაირად:

ირაკლი ნადირაძე - ფრაქციის თავმჯდომარე;

სოფიო ჯაფარიძე - ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;

თორნიკე ბიკაშვილი- ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;

ანა გოგოლაძე - ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ონიანი- ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.

საჯარო შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩევლებისთვის გაცნობილი იქნა მთელი ფრაქციის ზოგად აქტივობაზე ინფორმაცია, რომელიც ასევე მიეწოდა 23 ოქტომბრის შეხვედრის მონაწილეებს:

საკრებულოს წევრების აქტივობა გამოიხატა საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის სხდომებში მონაწილეობის მიღებით. მოქალაქეებთან შეხვედრით, როგორც საკრებულოს წევრების სამუშაო ადგილზე, ისე მოქალაქეთა საცხოვრებელ ან/და მიმდებარე ტერიტორიაზე.

უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას საკრებულოს წევრები ახორციელებენ როგორც საკრებულოში მიღებული მასალებიდან, ისე გამოთხოვილი ინფორმაციებით და კვლევით, რომელსაც ფრაქციის წევრები აწარმოებენ. აღნიშნულ პროცეში პრობლემას ქმნის მმართველი პარტიის დამოკიდებულება ოპოზიციის სამუშაო პროცესისადმი, რაც გამოიხატება, ინფორმაციის ნაწილობრივ და სრულად გაუცემლობით. საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულების უგულვებელყოფაში.

საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირებისგან ინფორმაციის მიღება საკრებულოს წევრის და მითუმეტეს ოპოზიციური ელექტორატის წარმომადგენლებისთვის, უფლებამოსილების განხორციელების დამატებითი საშუალებაა, თუმცა არც კახა კალაძე და არც მერიის თანამდებობის პირები არ ასრულებენ ამ ვალდებულობას.

ფრაქციის წევრები შესაძლებლობის ფარგლებს მაქსიმალურად იყენებენ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული დარღვევები მაქსიმალურად იქნეს გასაჯაროებული.

არაფორმალური მმართველობის მიერ შექმნილი ხელოვნური დაბრკოლებები ძლიერ აფერხებს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას.

2021 წლის დეკემბერში ფრაქციის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრები მონაწილეობდნენ პრეზიდენტ სააკაშვილის თავისუფლების, პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების დასრულების და ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით დაწყებულ შიმშილობის აქციაში.

2021 წლის 28 დეკემბერს ფრაქციამ დააყენა რიგგარეშე სხდომის ჩატარების მოთხოვნა , რადგან კახა კალაძემ არ შეასრულა საკრებულოსთვის ანგარიშის ჩაბარების ყოველწლიური ვალდებულება, და საკრებულოს სხვა ოპოზიციურ წარმომადგენლებთან ერთად მოსთხოვა თბილისის მერს საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულების პრინციპის პატივისცემა და ანგარიშის წარდგენის იმპერატიული ვალდებულების შესრულება.

კახა კალაძემ არ უზრუნველყო ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური პრინციპის პატივისცემა და არ შეასრულა კანონმდებლობის მოთხოვნა.

2022 წლის 25 იანვარს, უკრაინაში რუსეთის მიერ ახალი საომარი მდგომარეობის პირობებში ფრაქციამ ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' თბილისის საკრებულოს წარუდგინა თბილისთან დაძმობილებული ქალაქის, კიევის რადას მიმართ მხარდამჭერი მიმართვის პროექტი, სადაც თბილისის საკრებულოს სრული შემადგენლობა, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, ერთობლივ მხარდაჭერას გამოუცხადებდა უკრაინას.

25 იანვრის თბილისის საკრებულოს სხდომა **გიორგი ონიანის** ინიციატივით დაიწყო უკრაინის სახელმწიფო ჰიმნით. **ნინო კვიტაიშვილმა** საკრებულოს სხდომას წარუდგინა ფრაქციის მიერ მომზადებული მიმართვის პროექტი, ფრაქცია ქართული ოცნების წარმომადგენლების მხრიდან იყო წინადადება ერთობლივად დაემუშავებინათ მიმართვის ტექტსი, თუმცა მათი მხრიდან მოხდა ალტერნატიული ტექსტის შემუშავება, სადაც არ იყო ნახსენები ოკუპანტი მხარე.

საკრებულოს ოპოზიციის სრულმა შემადგენლობამ ჩათვალა, რომ რადგან ''ქ.ოცნების'' მიერ შემუშავებული ვერსია სრულად არ ასახავდა მოსახლეობის განყობას და რეალურ პოლიტიკურ ვითარებას და გადაწყვიტა უკრაინის მხარდასაჭერად ოპოზიციური პარტიების მიერ შემუშავებული ტექსტის გაგზავნა.

თბილისში უნებართვო მშენებლობების პრობლემებთან დაკავშრებით ფრაქციამ 01 თებერვლის სხდომაზე დაიბარა მუნიციპალური ინსპექციის უფროსი კახაბერ გულედანი და თბილისის ვიცე მერი ირაკლი ხმალაძე, თუმცა აღნიშნული თანამდებობის პირებმა არ შეასრულეს ფრაქციის სხდომაზე დასწრების ვალდებულება. ამ დარღვევის თაობაზე ფრაქციამ რეაგირებისთვის მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

გთხოვთ, გვაცნობოთ, როგორია თქვენი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის პოზიცია ვიცე-მერის ბატონი ირაკლი ხმალაძის და მუნიციპალური ინსპექციის უფროსის ბატონი კახა გულედანის მიერ ფრაქციის სხდომაზე დასწრების ვალდებულების შეუსრულებლობაზე და მოახდენს თუ არა მთავრობა **თბილისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულებას, მთავრობის წევრთა მიერ ფრაქციის სხდომაზე დასწრების ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხი იმსჯელოთ მთავრობის უახლოეს სხდომაზე და წერილობით გვაცნობოთ თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
არც ამ საკითხზე დაფიქსირებულია თბილისის მთავრობის რეაგირება.

03 თებერვალს თბილისის საკრებულოში ჩატარებული ბრიფინგით **სოფიო ჯაფარიძემ** გაახმოვანა ფრაქციის პოზიცია თბილისის მერიის ახალი ადმინისტრაციული შენობის აშენების საკითხზე:
მოვიპოვეთ დოკუმენტაცია იმის შესახებ, რომ როდესაც ქალაქში და მთელს ქვეყანაში არის უ მძიმესი მდგომარეობა და ადამიანები შიმშილობენ ახალი კაბინეტებისა და ფუფუნებისთვის ათეულობით მილიონი ლარის დახარჯვა იგეგმება. სრულად ვემიჯნებით მათ ამ გადაწყვეტილებას და ვთხოვთ, რომ თანხა რომელიც ამ კონკრეტული შემთხვევისთვისაა გამოყოფილი თბილისელების კონკრეტული პრობლემების მოგვარებას მოხმარდეს",- განაცხადა სოფიო ჯაფარიძემ.

ფრაქციამ, მერიის თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულების საკითხთან დაკავშირებით, ''ქ.ოცნების'' რიტორიკის პასუხად ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ:

,,როდესაც ფრაქცია შეხვედრაზე იწვევს მერიის თანამდებობის პირს და აქვს კონკრეტული კითხვები, რომლებზე პასუხებიც აინტერესებს თბილისის მოსახლეობას, მერიის სამსახურების წარმომადგენლები უნდა მობრძანდნენ ფრაქციის სხდომაზე და პასუხი გასცენ დასმულ შეკითხვებს. ფრაქციის გადასაწყვეტია ამა თუ იმ ფრაქციის სხდომაზე მოიწვევს თუ კომისიის სხდომაზე. ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული კრიტიკა ხელისუფლების მიმართ, კრიტიკა თუ დღეს ისტერიად აღიქმება, ეს მხოლოდ აღქმის საკითხია.''

ანა გოგოლაძემ წამოჭრა საკითხი რომელიც მმართველი პარტიის პირობებშია ასევე ძალიან პრობლემატურია, ესაა საკრებულოს წევრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიუღებლობა, კონკრეტულ მაგალითად დაასახელა ქეთევან წამებულის გამზრირზე მიმდინარე სარეაბლიტაციო სამუშაოების პროექტზებზე შშმ პირების საჭიროებების ასახვას, იქვე მდებარე უსინათლოთა სკოლის გარემოების გათვალისწინებით. არც ორხევში საცხოვრებელი სახლების დემონტაჟის შედეგად გამოსახლებულ მოქალაქეთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იქნა მოწოდებული.

ამ სხდომაზე ლილე ლიპარტელიანი ასევე გამოეხმაურა თბილისის მერის მიერ საკრებულოსთვის ანგარიშის წარუდგენლობის საკითხს და რომ მთავრობის წარდგენა და ანგარიშის წარდგენა აბსოლუტურად განსახვავდება ერთმანეთისგან.

22 თებერვალს ფრაქციამ საკრებულოს წარუდგინა ინიციატივა მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევის თაობაზე ვინაიდან:

აფხაზეთსა და შიდა ქართლში რუსული ოკუპაციის პირობებში საქართველოს დედაქალაქში ''მოსკოვის გამზირის'' სახელდების შენარჩუნება ეწინააღმდეგება გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მარეგულირებელი კანონმდებლობის ისეთ პრინციპებს, როგორიცაა:

სახელდების შესაბამისობა ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ორიენტაციასთან;

სახელდებაში ქვეყნის და დედაქალაქის განვითარების ძირითადი მიმართულებების ასახვა;

დაუშვებელია ისეთი სახელდება, რომელიც ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებას, სახელს უთქვამს საოუკუპაციო რეჟიმს.

და დააყენა გამზირისთვის კიევის სახელის მინიჭების ინიციატივა რადგან :

კიევი, როგორც უკრაინის დედაქალაქი და პოლიტიკური ცენტრი, დღევანდელ გეოპოლიტიკურ რეალობაში წარმოადგენს ანტისაოკუპაციო ბრძოლის ისეთ სიმბოლოს, რომელიც აერთიანებს თავისუფლების იდეას, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ერთგულებას და გმირების თავდადებას, რომლებიც ამ წუთებშიც დგანან ევროპული ღირებულებების დაცვის ავანგარდში და აგრძელებენ დაღუპულ პატრიოტთა საქმეს, ამ ბრძოლაში უკრაინა საქართველოსაც წარმოადგენს, არამარტო ოკუპაციით გამოწვეული ტრაგედიით, არამედ, საერთო გამოწვევასთან, ოკუპაციასთან შეურიგებლობითაც.

28 თებერვალს, უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად, ფრაქციამ თბილისის საკრებულოში, თამარ მეფის სახელობის დარბაზში უკრაინის სახელმწიფო დროსა გადმოფინა.

04 მარტს, რაც ფრაქციის წევრებმა თბილისის საკრებულოს ვებგვერდითან შეიტყვეს, რომ საკრებულოს სახელით ჩატარებულა "უკრაინის დახმარების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის" პირველი სამუშაო შეხვედრა, და წერილობით მიმართა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს :

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჯგუფის საკრებულოში შექმნა ჩვენთვის არ იყო ცნობილი და არავის მოუხდენია ჩვენი ინფორმირება სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის თაობაზე, მთელი გულით მივესალმებით რუსულ ოკუპაციასთან მებრძოლი ჩვენი მეგობარი ქვეყნის დახმარების პროცესში თბილისის საკრებულოს ჩართვას და ვიმედოვნებთ, რომ უკრაინის თანადგომის საკითხში შედგება თბილისის საკრებულოს სრული შემადგენლობის ზეპარტიული თანამშრომლობა.

სამწუხაროდ საკრებულოს პარტიული უმრავლესობის მხრიდან არ მომხდარა არც ამ საკითხზეც თანამშრომლობა ოპოზიციასთან.

07 მარტს ფრაქციამ, ყოველი წევრის სახელით, წერილით მიმართა საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს და საქართველოში მყოფი უკრაინელების მხარდასაჭერ პროექტებში სამსახურებრივი, პროფესიული და ფიზიკური მონაწილეობით სრული თანადგომა აღუთქვა.

თბილისის საკრებულოს 18 მარტის სხდომაზე მიხეილ კაკაურიძემ წარმოაჩინა პრობლემა, რომელიც ხელს უშლის თბილისის საკრებულოში სამუშაო გარემოს არსებობას:

ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე, მიუღებელია, საკრებულოს სხდომა იწყებოდეს იმ დემაგოგიით, რაც დღეს მოვისმინეთ სახელისუფლო პარტიის წარმომადგენლების მხრიდან, ისევ გრძელდება ისეთი განცხადებების გაკეთება, რომლებიც ემსახურება პოლარიზებას და საზოგადოების გახლეჩვას, რაც ნებით თუ უნებლიეთ, რუსული ნარატივია და ''გათიშე და იბატონეს'' პრინციპით არ გვაქვს პერსპექტივა, რომ ქვეყანა შევქმნათ იმ სახელმწიფოდ, რომლისთვისაც აქ ვართ.... ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი კონსტრუციული და საქმეზე ორიენტირებული წინადადებები არ იქნა მხარდაჭერილი მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციის ინიციატივაა''

საკრებულოს 15 აპრილის სხდომაზე **ნინო კვიტაიშვილმა** ყურადღება გაამახვილა თბილისის საკრებულოში ოპოზიციისადმი დამოკიდებულებაზე, როცა საკრებულოში კომისიების სახელით იმართება ღონისძიებები და ამას კომისიის ოპოზიციონერი წევრები საკრებულოს ვებსაიტიდან ან სოციალურ ქსელის გვერდიდან იგებენ, როგორც მაგალითად განათლებისა და კულტურის კომისიის ეგიდით გაიმართა სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და თავად, ამავე კომისიის წევრი არ იყო ინფორმირებული.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა სხდომაზე მაგალითად მოიყვანა ''საქანელას'' პროექტთან დაკავშირებული უზუსტობა, როცა საკრებულოსთვის მიწოდებული მასალები სრულად არ ასახავდნენ რეალობას, საკრებულოს წევრები გადაწყვეტილებას იღებენ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და როდესაც ეს დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი, სერიოზული პრობლემაა.

11 აპრილს გაკეთებული ბრიფინგით, **ანა გოგოლაძე** გამოეხმაურა ვაჟა-ფშაველას გამზირზე ავტობუსის გაჩერებაზე მოწყობილი მოსაცდელი წაქცევის ფაქტს გამოეხმაურა და აუდიტის სამსახურს თბილისის მერიასა და კომპანია ,,ალმას'' შორის გაფორმებული ხელშეკ რულების შესწავლისკენ მოუწოდა.

19 აპრილს, **ანა გოგოლაძემ** საკრებულოს მიმართა საინიციატივო პროექტით, რომ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უფასოდ მგზავრობის უფლება მიენიჭოთ. თბილისის საკრებულოს ინიციატივის განხილვა დღემდე არ მოუხდენია .

05 მაისს, ფრაქციამ პროტესტი გამოთქვა და ბოიკოტი გამოაცადა საოკუპაციო რეჟიმის ტყვეობაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებით "ქართული ოცნების" ხელისუფლების მხრიდან არაადამიანური მოპყრობის გამო.

ფრაქციის განცხადებით მიხეილ სააკაშვილისთვის სათანადო მკურნალობის გაუწევლობას აღქმული იქნა როგორც წამება და მისი მკვლელობის მომზადება.

ფრაქციამ მოითხოვა: დაუყოვნებლივ შეწყდეს მიხეილ სააკაშვილის უფლებების დანაშაულებრივი ხელყოფა და სასწრაფოდ მოხდეს საქართველოს მესამე პრეზიდენტის გადაყვანა სათანადო სამედიცინო დაწესებულებაში, რომელსაც გააჩნია მისი მდგომარეობის შესაბამისი გამოცდილება და სამკურნალო შესაძლებლობები.

21 ივნისის ბრიფინგით **ნინო კვიტაიშვილმა** გაავრცელა ფრაქციის მოთხოვნა სამგორის გამგებელის კახა სამახარაძისა და უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭონქაძის თანამდებობებიდან გადაყენების თაობაზე, მათი მხრიდან ადამიანის უფლებების უპატივცემულობის და სამოქალაქო აქციის მონაწილეთა უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფის გამო.

ფრაქციის წევრებმა უფლებამოსილების ფარგლებში ყველა საშუალება გამოიყენეს, რომ თბილისის საკრებულოს კომისიებს და საკრებულოს სხდომას არ მიეღო კორუფციული გარიგება. რომელიც დღეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 16 ივლისის # 318 განკარგულების სახით არსებობს.

ფრაქციის წევრებმა **ირაკლი ნადირაძემ და ლილე ლიპარტელიანმა** სასამართლოს მიმართეს განკარგულების შეჩერების თაობაზე, რომელიც სასამართლოს მიერ უარყოფილი იქნა, ამის შედეგ სასამართლოში შევიდა სარჩელი ამ განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე.

09 აგვისტოს, **ირაკლი ნადირაძემ** თბილისის საკრებულოში გამართა ბრიფინგი დედაქალაქის ცენტრში მავნებლური განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც სანზონის, ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთის რაიონებში სატრანსპორტო კოლაფსს შექმნის, რადგან აღნიშნულ ტერიტორიას დანარჩენ ქალაქთან შესაბამისი სატრანსპორტო კავშირები არ გააჩნია. ეს არის ურბანული დანაშაული თბილისელების წინაშე. ქართულ ოცნებასთან დაკავშირებულ ადამიანებს თბილისელების ინტერესების ხარჯზე სურთ იშოვნონ მილიონები" და პარტიულ უმრავლესობას პროექტზე უარის თქმისკენ მოუწოდა.

19 სექტემბერს ფრაქციამ თბილისში მიმდინარე სატრანსპორტო პრობლემებთან დაკავშირებით, გზებზე, მეტროსა და ავტობუსებში, გზებზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით სხდომაზე მიიწვია სსიპ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ვიქტორ წილოსანი, თუმცა წილოსანი სხდომაზე არ გამოცხადდა.

07 ოქტომბერს, ფრაქციის თავმჯდომარემ **ირაკლი ნადირაძემ** ბრიფინგი გამართა.რომელიც ეხებოდა შემდეგ ფაქტს; 2017 წელს, თბილისის მერიამ ვერის ხეობაში, 9600 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სპორტული კომპლექსის ასაშენებლად, კვადრატული 12 დოლარად გაყიდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე, სპორტული კომპლექსის ნაცვლად, კომპანია „თეთრი კვადრატი" საცხოვრებელ კორპუსს აშენებს. რაც ხალხის ფულის გაფლნაგვის ნათელი მაგალითია, ფრაქცია მუშაობს ამ კორუფციული ფაქტის გასასაჩივრებლად, რადგან საკრებულოში ''ქ.ოცნების'' უმრავლესობამ ამ კორუფციულ სქემას მხარი დაუჭირა.
19 ოქტომბერს, ფრაქციამ უზრუნველყო თბილისის მერის მერის ადმინისტრაციის წინასწარი ინფორმირება, რომ ფრაქციის წევრებს სურდათ თბილისი მთავრობის სხდომაზე დასწრება, თუმცა, პოლიციისა და უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მონაწილეობით, საკრებულოს წევრები უკანონოდ არ იქნენ დაშვებული იმ ადამინისტრაციული კოლეგიური ორგანოს საჯარო სხდომაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ადგენს საკრებულოს მორიგი სხდომის აუცილებლობას თვეში ერთხელ მაინც, ამ მოწვევის საკრებულოს არ მოუწვევია, არც ერთი

მორიგი სხდომა. ყოველი სხდომა ჩატარდა ფორსირებულ რეჟიმში, უმეტეს შემთხვევაში სხდომის წინა დღეს გასაჯაროებული სხდომის დღის წესრიგით.

აღნიშნულ მანკიერ პრაქტიკას აღვიქვამთ როგორც საკრებულოს წევრებისთვის უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეშლას, საბოტაჟს და ეს ის რეჟიმია, სადაც გვიწევს მუშაობა

მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს, **ზვიად კუპრავამ, ლილე ლიპარტელიანმა, გიორგი ონიანმა და სოფიო ჯაფარიძემ** ფრაქციის სხვა წევრებთან და საკრებულოს სხვა ოპოზიციურ წარმომადგენლებთან ერთად კახა კალაძეს მოსთხოვეს ანგარიშის წარდგენა ვაკის პარკში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვაზე, მონიტორინგსა და შემოწმებაზე და საკრებულოს რიგგარეშე სხდომის გამართვა 31 ოქტომბერს, თუმცა არც თბილისის მერი მისულა საკრებულოში და არც საკრებულოს თავმჯდომარემ დანიშნა რიგგარეშე სხდომა, შესაბამისად ოპოზიციურმა ფრაქციებმა მოიწვიეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 1 ნოემბერს.

ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრაზე, **სოფიო ჯაფარიძემ** ამომრჩევლებს გააცნო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას და განათლებისა და კულტურის კომისია მისი მონაწილეობით განხილულ საკითხებზე ინფორმაცია და სხდომებზე აქტივობის ინფორმაცია.

ლილე ლიპარტელიანმა, შეხვედრაზე მყოფ ამომრჩევლებს გააცნო თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამები, რომელთა განხილვაში აქვს მონაწილეობა მიღებული, მოქალაქეებთან შეხვედრის დროს წამოჭრილი პრობლემები, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მუშაობაზე ინფორმაცია და მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულ კომისიაში აქტივობის შესახებ - 14 სხდომის მუშაობაში მონაწილეობა, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში გაწეულ სამუშაოზე, სადაც მისი დასწრების აქტივობის მაჩვენებელია 15 სხდომა შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა კორუფციული გარიგებების მაგალითები, და საკრებულოს უმრავლესობის გადაწყვეტილებები ყოველ დანაშაულებრივ სქემებზე.

ზვიად კუპრავამ, თბილისის საკრებულოში მუშაობაზე ინფორმაციის მიწოდების პროცესში გამოაქვეყნა, პრეზიდენტ სააკაშვილის თავისუფლებასთან დაკავშირებით საკრებულოში გაკეთებული განცხადების ტექსტი:

საქართველის პრეზიდენტი არის სიმბოლო სახელმწიფოსი და ეს სიმბოლო დღეს არის ოკუპანტის ტყვეობაში.

1973წელს ა.შ.შ-ში მოხდა უოთერგეიითის სკანდალი, რის შედეგადაც გადადგა ა.შ.შ.-ის 37ე პრეზიდენტი ნიქსონი.
მალე ის მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რამაც შტატები გაყო ორ ნაწილად.

პოლარიზაცია იყო შეგვიძლია ვთქვათ, იმაზე ბევრად უფრო მეტი ვიდრე დღეს არის საქართველოში ანალოგიური ვითარებიდან გამომდინარე. შედეგად აქედან გამომდინარე, შემდეგმა პრეზიდენტმა(ფორდმა) მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტ ნიქსონის შეწყალების შესახებ.1974წელს ფორდი წარსდგა კონგრესის წინაშე და მან განაცხადა შემდეგი რამ:

"ეს არის აშშ-ს ტრაგედია, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ ყველამ. ეს შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებლად, ან ვიღაცამ ამას წერტილი უნდა დაუსვას. ჩემი სინდისი მეუბნება, რომ არ შეიძლება

უფლება მივცე ღამის კოშმარებს გაგრძელდნენ, ჩემი სინდისი მეუბნება, რომ მხოლოდ მე როგორც პრეზიდენტს, მაქვს კონსტიტუციური უფლება დავხურო ეს წიგნი. მე მივედი გადაწყვეტილებამდე, რომ ამისთვის წერტილი დამესვა. მხოლოდ მე შემიძლია ე.ი. ეს ჩემს ვალდებულებად იქცა.!"
_ ეს არის ჯერალდ ფორდი და ეს არის ამერიკული სტანდარტი.

ახლა მე თქვენ და საზოგადოებას მოგახსენებთ ქართული სტანდარტის შესახებ:

ჩვენ ყველას გვახსოვს უახლოესი ისტორია საქართველოსი და გვახსოვს ყველას 90-იანი წლები. მე არ შევუდგები პრეზიდენტ შევარდნაძის პრეზიდენტობის შეფასებას, უბრალოდ გაგახსენებთ თუ რა პერიოდი გამოვიარეთ და ეს არ იყო მარტივი პერიოდი. ახლა მე თქვენ გეტყვით ქართული სტანდარტის შესახებ, რომელიც დაამკვიდრა მიხეილ სააკაშვილმა.

2003წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელიც დღეს საპყრობილეში ზის, თქვა:

"პრეზიდენტი უნდა დარჩეს ქვეყანაში, ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ღირსების განცდა, ჩვენი ღირსების საკითხია, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს დაედგომებოდეს თავის ქვეყანაში. ჰქონდეს სრულიად გარანტირებული უსაფრთხოება. ჰქონდეს სრულიად გარანტირებული საყოფაცხოვრებო პირობები. მისი ოჯახი უნდა იყოს დაცული. ეს არის ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა."
ეს არის ქართული სტანდარტი, რომელიც დაამკვიდრა პრეზიდენტმა სააკაშვილმა და ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ამ განცხადების შემდეგ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ამის შემდეგ 12 წელი იცხოვრა ძალიან მშვიდად საპრეზიდენტო რეზიდენციაში და ის 86 წლის ასაკში გარდაიცვალა სიბერით.

მე მესმის, რომ შეიძლება ბევრი თქვენთაგანი არ იზიარებდეს, არ ეთანხმებოდეს ,ოპონირებდეს, არ მოსწონდეს ან აკრიტიკებდეს, მაგრამ პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო,ისევე როგორც დროშა, ჰიმნი და გერბი.

შესაბამისად პრეზიდენტი არ შეიძლება იჯდეს ციხეში.

თუ ვინმე გეუბნებათ, ბატონებო, რომ ეს თქვენ არ გახებათ, ეს არის ტყუილი. იმიტომ, რომ პრეზიდენტის პატიმრობა ეხება საქართველოს ყველა მოქალაქეს მიუხედავად მიუხედავად მისი პოლიტიკური კუთვნილებისა. პრეზიდენტის პატიმრობა გეხებათ თითოეულ თქვენგანს. იმიტომ ,რომ 10 წლის შემდეგ ,როდესაც ჩვენი შვილები და შვილიშვილები გვკითხავენ თუ რა გავაკეთეთ მაშინ როცა პრეზიდენტი იჯდა ციხეში და თუ ჩვენ არ გვექნება ამაზე პასუხი, ეს იქნება ჩვენი სირცხვილი. ჩვენ დღეს გვაქვს გარკვეული ბერკეტი, განცხადების სახით, დადგენილების სახით საკრებულოს გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილება, მივიღოთ ისტორიული როლი საკრებულომ. ამ ისტორიულ წლებში და პერიოდში და საკრებულომ მოიხადოს თავისი ვალი ხალხის და ქვეყნის წინაშე.
თუ ჩვენ შესაბამისად შევაფასებთ ვითარებას, რაც ხდება საქართველოში ეს იქნება ის ჩვენი მოკრძალებული წვლილი. მე მესმის რომ ჩვენ მეტი შესაძლებლობა და ექსკლუზიური უფლება არ გვაქვს შეწყალების შესახებ. მაგრამ ეს იქნება ჩვენი ისტორიული გამოცდილება რომელსაც შეიძენს თბილისის საკრებულო და მერწმუნეთ საკრებულოს ავტორიტეტი და პოზიცია ძალიან ამაღლდება საზოგადოების თვალში, ჩვენი ხარისხი იქნება ბევრად მაღალი ვიდრე არის დღეს.

გიორგი ონიანმა დამსწრე პირებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მან საკრებულო სხდომაზე დააყენა ერთერთ საკითხად მიწის გაცვლის პროგრამის ფარგლებში ექსპერტიზზის დასკვნას დამატებოდა აუქციონის კომპონენტი, რაც მოხსნიდა კორუფციულ რისკებს. ასევე, სხდომაზე დააყენა ინიციატივა უფასო სასადილოების პროგრამის მოდიფიკაცია და მოითხოვა ბენეფიციარები გადაყვანა მშრალ კვებაზე. ასევე,გიორგი ონიანმა მიმართა სახელდების კომისიას, შემდეგი ინიცირებით, რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ უკრაინის დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ ქართველ გმირთა სკვერი და მემორიალის დადგმა.

მმართველი პარტიის ძალისხმევით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში არ არსებობს სივრცე პოლიტიკური პლურალისტული გარემოსთვის, არ არის კონსტრუქციული მიდგომა ოპოზიციური შეხედულებისადმი რაც ართულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დემოკრატიულობას.

ზვიად კუპრავა

ლილე ლიპარტელიანი

გიორგი ონიანი

სოფიო ჯაფარიძე